

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 46

2020



მთ. რედაქტორი

აკაკი გრეგაძე

მწერალი, ივანე მაჩაბლის

სახელობის პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბოჰოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-853-3 (46 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთტომეული – „იქმნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთტომეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაქტიონ ტაბიძის პრემიების დაარსების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანდგომის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სპარტოველეს განათლებისა და სპარტოველეს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსაღმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსაღმუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსაღმუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, აბრეთვე, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსაღმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სპარტოველეს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნათა და ლილი. იგი – მმართველია (შვილი ძმა და ორი და).





კოეტის ასტრომეული „კონსიუმი კოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მივყენს რომ ვმბადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიოსაც, რომ ახანჯარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა კოეტის ზღაპრული კონსიუმი „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი ახრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არმის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, კოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდაული ისტორია, რაც კოემერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღემდე...“


კონსიუმი კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგელეჟანი მისწოლია... მათ იცინან იმ ოქმება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

კოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცოვად შხხვდი ყოველ ძეხას, ყოველ კახეხას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიმერ

(გაგრძელება)

ვაჟა ვერისელის უამრავ ლექსს, სადაც საქართველოს ციხე-ტადრები უთვალავი სამშვენისებითაა შემკული, მკითხველი შეჰყავს სახეთა სამყაროში, სადაც საგნები და მოვლენები, წარსული და აწმყო ერთიანდებიან ცნობიერებაში და განგაწყობენ იყო მათთან შენივთული, ყველა ნერვით და მთელი არსებით განიცადო და შეისუნთქო წარსულის დიდებულება. თითქოს მის ბწკარებში უხსოვარ დროიდან დაბუდდა სისხლსა და ძვალში განჯდარი ქართული სული.


*

„ქონგურით ხერხენ ციხეები

საუკუნეებს...

ომებში ბევრი ციხე მოკლეს,

ბევრმა იცოცხლა.





და მტერთა ჩვენთ მზერა მოისრა.
და ახლა ციხის კედელზე რომ
სურო მიცოცავს,
სურო კი არა,
სული არის მეცოხოვნისა“.

მხატვრულ სახეებში ამეტყველებულმა სურათმა,
რომელიც მძაფრ ესთეტიკურ შემოქმედებას ახდენს
მკითხველზე შეადლებინა პოეტს ერთ ლექსში ეთქვა:

„ათას ქარიშხალს გამოლწეულნი,
ველარ შეაკრთო ცეცხლის
მეწყერმა
და ტკაცუნობდნენ ზღვაში აფრები...
რადგან წინაპრებს
ხმალზე ეწერათ:
სამშობლო –
ღმერთი!..
სხვა არაფერი!“

მთრთოლვარე, მფეთქავი ძარღვივით გასდევს
რიტმი პოეტის აზრებს, ხილვებსა და განწყობილ-
ბებს და მართლაც ძნელია არ განიცადო სახისმეტ-
ყველების საოცარი ძალა:



*

„სადღაც მომავლის ხარობს ჯეჯილი
და გესმის მათი
ჩუმი შრიალი.
თუმც წარსულითაც შენ ხარ მდიდარი.
ჩემი სიცოცხლე გიდგას
თავდებად,
რომ შენს თვალეშიც გამოიდარებს –
მამულო ჩემო!
შენი ყანაც დათავთავდება!“

უცილო ფაქტია ის, რომ თვით ტრადიციულ ქართულ პოეზიაში დაკანონებული ეროვნული რიტმიც კი ახალსა და მომხიბველ მუსიკალობას იძენს ვაჟა ეგრისელთან. პოეტმა მეტი იცის საქართველოს ისტორიულ წარსულზე, ვიდრე გვეუბნება და ჩვენც ვგრძნობთ სიტყვის ქვეტექსტს, გამომსახველობით პოტენციას, ელიფსურობას.

გრემსა და ოშკს, საქართველოს ორ თვალწარმტაც ადგილს წინაპართა მიერ აქ აღმართული გაცოცხლებული ტაძრები განასახიერებენ:

*

„გადაიქროლეს წარსულის ლანდი
და გამოაჩენს სისხლიან კლანჭებს,



წარბებს შეიკრავს და მოიწყენს
გრემი და ოშკი
და გააყოლებს ომის კვამლით დანისლულ
თვალებს
მე კი, – მამულო!
სიყვარულის ცათამწვდენ კოშკში
გყავარ და...
წამით არ მიშვებ გარეთ“.

თუ უსულო ტაძრებს ადამიანურ სულს არ ჩაბე-
რავდა პოეტი, ვერც „წარბების შეკვრასა“ და „მოწყენას“ შეგვახედებდა და ვერც იმაში დაგვაჯერებდა, რომ ტაძრებს გარდასულმა ბატალიებმა თოფის კვამლით დაუნისლეს თვალები და ახლა წარსულის ლანდის გადაქროლებას „გააყოლებს ომის კვამლით დანისლულ თვალებს“.

1969 წელს დაწერილ ლექსში ვაჟა ეგრისელი იხსენიებს „შურით და მტრობით დაჭმულ ყორღანებს“, სადაც პოეტმა კარიერიზმით დაავადებულ წარჩინებული პიროვნებები გაკიცხა და პოეტის აზრით 80-იანი წლების მიწურულში დადგა ის დრო, როცა ძველი ისტორია უნდა გამეორებულიყო, რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დადგნენ ქართველები ორ ბანაკად – რუსებს მომხრობილნი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ



მდგომნი. ამ ბრძოლის მწვავე შედეგით დაფიქრებული პოეტი წერს:

*

„ციხეთა ჩრდილში

ჩამომსხდარან საუკუნენი,

და დაუხრიათ დაბლა თავები

და ძველ დიდებას ჩუმად ოხრავენ...
ხოლო არმაზთან

ხოლო არმაზთან

მთვარე დამზერს

ერისთავების

შურით და მრტობით დაჭმულ ყორღანებს“.

ძველადაც იმარჯვებდნენ სპარსთმიმხრობილნი და თურქმიმხრობილნი, მაგრამ ეს გამარჯვებები დროებითი იყო. ეს ლექსი დიდი ეროვნული ტკივილით გამსჭვალული ნაწარმოებია. საქართველოში კვლავ შენდებოდა ციხე-ტაძრები, კვლავ იწყებოდა საქართველო ქართველ ყრმათა აკვნებიდან და აღორძინდებოდა. ფარ-ხმალით აღიჭურვებოდნენ მეციხოვნენი, შინაურ მტრებს უსწორდებოდნენ და მომხდურს თავზარს სცემდნენ.

*

„უამმა ვერ დასცა...
წელზე დონჯ შემოყრილები –



ციხე-კოშკები გამარჯვებულ
ჰგვანან ფალანგებს.
და მშობლიური ქართული ცა თავზე დაჰხარით.
ბრწყინავს და ელავს ნიკოფსით –
დარუბანდამდის,
ქართლის წარსულის ნამოსახლარი“.

ლექის სასაუბრო ინტონაცია აქ არ არის შე-
ბოჭილი ვერსიფიკაციული არტახებით და ცოცხალი
მეტყველების ფორმას უახლოვდება. პოეტი ფეხდა-
ფეხ მოივლის მთელ საქართველოს, ჩერდება თითოე-
ულ ნანგრევთან და ქვასთან, მოინახულებს ქარ-
თველ გმირთა საფლავებს, მიუახლოვდება და წამით
შეჩერდება ხერთვისის ციხესთან, სადაც შორეული
წარსულის შფოთი და დრტვინვა ჩაესმის:

„ანთებს და ანთებს თვალების კოცონს,
ციხის გოდოლზე –
ავის მაცნედ გაჰკივის ჭოტი.
ქარი კი სადღაც ერეკება ღრუბლების ფარას.
იელვებს ელვა...
და დამის ტოტზე
კვლავ დააბუდებს შიშსა და წკვარამს“.

წარსულის დროთა ხსენებას სამთავისის ციხე-
კოშკისადმი მიძღვნილი ლექსიც ადასტურებს. ჩინე-



ბული მეტაფორითაა დახასიათებული საქართველოს ისტორია:

„ჩამავალი მზის დახრილ ტოტებზე –
ცას რომ ანახოს ძლიერება
ქარმა თავისი,
შორს მიაქვს, სადღაც ბაბუაწვერას
თეთრი ოცნება.
მკერდს მიხუტებულ ჯვრით –
სამთავისი,
დგას სიჩუმეში, ვით გაოცება“.

ვაჟა ვერისელი ცხადად გრძნობს თავის პოეტურ ძალმოსილებას, იგი რწმუნდება თავის უნიკალურ ფასეულობებში, გათავისუფლებულია დიდი ტვირთისაგან და მზის ენერგიით აღვსილი დაბიჯებს საქართველოს მიწაზე და უთვალავი მარგალიტით ამკობს ქართული პოეზიის საგანძურს.

ჟამთა სვლამ ვერ დაფარა ციხის მცველთა ყივილი, შუბის უღრიალი, ხმლის კრიალი, საცაა ციხის კარი გაიღება და ხმალამოწვედილი მეცოხოვნე გამოვარდება მომხდურთა დასალაშქრავად:

„ისტორიებში თვალს რომ მივლულავ
მესმის ყიჟინა
და ჟრიაბული



აქეთ ქართვების,
იქით ბასკების.
ასეა მუდამ:
წარსულ დღეთა ხმები გმირული –
მომავალს ძლიერ ექოდ ასკდება“.

„ასეთი, ერთი შეხედვით ეიფორიული ეპითეტების მისანიჭებლად. რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის მარტოოდენ ერთი არგუმენტის – მეტაფორების სიუხვის, მისი ნაირფერობის მოშველიება. ხშირად ვაჟა ეგრისელის პოეზიის შეფასებისას პირველ რიგში ხაზი პოეტური მეტყველების ამ უმთავრეს სამკაულს ესმება. იგი მართლა მდიდრულად არის წარმოდგენილი მის შემოქმედებაში. მეტაფორული აზროვნების ნაკადი აქ ნამდვილად პოულობს თავისებურ მძლავრ სადინარს...“

ღიას, „ძვლებით ნაგები“ ხერთვისის ციხის დაჭრილ მკერდიდან „გადმოჩქეფს სურო და ხავსი. ყურს უგდებს წარსულს და დახანებით ესმის შორიდან ყაყანი და ხეობებს ავსებს შავი ლანდები ლენგების და მაჰმად-ხანების“, ხოლო წიფლის ხე დგას ქონგურზე და ვით მეციხოვნე და შუბლშეჭმუხვნოდ წარსულს გასცქერის“...

დაშლილი ციხის გალავანთან დაყრილი ქვები იმ უსახელო ხუროთმოძღვართა და კირითხუროთა ძვლებია, რომლებმაც „ციხე მტერთა მოიუდგომელი“



ააშენეს. იმ მეციხოვნეთა ძეგლებია, რომლებიც აქ მომხდურთ შეერკინენ და დაეცნენ. უფლისციხეში „ციხის მდუმარე შესასვლელთან ისე წევს ლოდი, ვით მეციხოვნე თავგაჩეხილი“...

იგივე ხილვები ეუფლება პოეტს ეგრისის ციხესთან: „როცა ეგრისის ციხეს ჩაუვლი, გვიან გაჩენის შემაურჟოლებს დანაშაული და მესმის ხმები შეწყალლების არა მოხოვნელთა, მთვარის ფართით და მზის შუბით ხელში, ქონგურებზე მღვარ გუბაზ მეფის მეციხოვნეთა“.

ზემთ მოტანილ სტროფში ემოციური ზემოქმედების ზღვარი არამარტო პირუთვნული, არამედ ეროვნული ეთიკის სფეროსაც სცილდება და ზოგადადამიანურ მნიშვნელობას იძენს. მერე თანდათან მძაფრდება ხილვები. ეს ხილვები წამოშლიან წინაპართა შორეულ სილუეტებს:

*

„მათი გზაც შედგა...“

წუთისოფლის მოკლე სამანი –

ველარ იქნა და

ვერ გადალახეს,

თუმცა შუბებით და ისრებით

დიდხანს იელვეს,

წარსულში წვანან...



დაპბიბინებთ ჟამთა ბალახი –
ურარტუელებს,
ქალდეელებს
და მიდიელებს“.

ამ ლექსში სახეობრივი ხატები თანდათან იხვეწებიან, მომხიბლავ ელვარებას იძენენ, შთაბეჭდილების ძალით იმუხტებიან. მდიდრდება სიტყვათა სემანტიკური არსენალიც და იფრქვევა გასაოცარი მეტაფორული სიმდიდრე:

*

„ნისლის თეთრი ფარჩეული
აფენია მთას
ასფენად,
მაგრამ ისე მოჩანს თმოგვი,
თითქოს კლდეზე ასაფრენად –
ფრთა გაშლილი იჯდეს ორბი“.

(„თმოგვის ციხე“)

ეს სურათი ხატს ახალ სუფს უდგამს და სუფს სხვა შუქით ანათებს. ვაჟა ეგრისელის პოეზია მდიდარი და უხვია მსგავსი ლექსებით. ამ ლექსის სტრიქონებით გაცოცხლებულია წარსულის უტყუარი სიმბოლო-თმოგვის ციხე.



ვაჟა ეგრისელის მიერ თქმული ციხე-კოშკთა საგალობლებისაგან ცალკე უნდა გამოვყოთ ერთი ლექსი, რომელიც ისევ თმოგვის სახეებით იქცევეს ყურადღებას:

*

„მაღალ კლდეზე ციხე თმოგვის –
(მესხეთ-ჯავახეთის ძალა!)
დავითით დგას ღომდარი.
და მზეც
ოქროს იშლის დაღალს
თამარივით –
ვარძიდან გადმომდგარი.“

ასე ფაქიზად ქართული ციხის ნანგრევს და ლოდს არავინ არ მოფერებია. არც ასეთი უნაზესი სიყვარული გამოუხატავს ვინმეს თამარ მეფისადმი. და დღეს, როცა ასე ძალისხმევით აღორძინდა ბრძოლა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს ლექსი უადრესად აქტუალურად, ძლიერად და მომხიბლავად უღერს.

„მაღალ კლდეზე ციხე თმოგვის“, აღორძინებული და თავისუფალი, უძლეველი საქართველოს მეტაფორული სიმბოლოა.

პროფესორი აკაკი თოფურია წერდა: „ვაჟა ეგრისელის პოეტურ ნიმუშებში ლირიკული გმირის ადგი-



ლი მთლიანად დაიკავა ნაკვესებად, ანასხლეტებად, ესკიზებად, ჩანახატებად გადმოცემულმა გრძნობა-განცდებმა, ხილვებმა და სახე-სურათებმა, რომელთა ამადლებულად, მიმზიდველად და მახვილგონიერად გამოსახვაში ვლინდება საბოლოოდ სწორედ ავტორის ნოვატორობაც. ამაშია მისი შემოქმედების, როგორც მხატვრული მოვლენის, გამოცანად ქცეული თავისებურებაც...

როცა ტრადიციულ ქანობრივ ფორმაში რაღაც ახალი ელემენტი იჭრება, როცა იგი ცალკეული შემთხვევითობიდან, დისონანსური გამოვლინებიდან იქცევა სიახლეთა სიახლის მთლიან გამოხატულებად და ერთეულებიდან ათასზე მეტ ნიმუშამდე აღწევს, უეჭველად საქმე გვაქვს პოეტური ენერგიის შემოქმედებითი წიაღისეული „წყაროებიდან“ მჩქეფარე შადრევნის ამოფრქვევასთან. მის დინებას ვერ შეაჩერებს კლასიკური ვერსიფიკაციის ვერავითარი დრომოჭმული არტახები. იგი თვითონ გაარღვევს და გაიკვლევს გზას საკუთარი მწვერვალებისაკენ. თვითონ შექმნის საფუძველს შესატყვისი ვერსიფიკაციული ღირსების მოსარგებად. ჩვენ ყოველთვის მხურვალედ ვესალმებოდით ასეთ ბედნიერ ლტოლვას და თუ ეს ხდება პოეტის შემოქმედების ყველაზე ძვირფას ასაკში, ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების იღბლიან გზაზე“.

ვაჟა ეგრისელი სულ რამდენიმე სტრიქონში გვაგრძნობინებს ხელოვნების სიდიადეს. ჩვენი სამ-



შობლოს უძვირფასესი ციხეები და კოშკები ქართული ხუროთმოძღვრების სამყაროა. ის წმინდათა-წმიდა ტაძარია, რომელიც მისი, როგორც პოეტისა და მოქალაქის არსებას აღტაცებით, მოწიწებითა და უმშვენიერესი ოცნებებისაკენ სწრაფვის დიადი ენერგიით აღავსებს. აი თუნდაც:

*

„სვეტიცხოველს აღარ უჩანს,
არც სარკმელი,
არც საკინძე
და მაინც კარგ სიზმრებს ხედავს:
კვლავ
ჭაბუკი არსაკიძე,
ეფერება მტკვარსა და მცხეთას...

ან კიდევ:

*

„დამანახეთ ჩემი მთები,
ცის ბინადარ მწვერვალებით,
სიკვდილის წინ ძალას მომგერის: –
ერეკლეს ხმლის ელვარება,
ხერთვისის და ციხე თმოგვის“.



ეს ლექსები თვალითაც დასანახია, რომლებშიც გიზიდავს გულის მესაიდუმლე და სამყაროს მჭვრეტელი პოეტი.

რა მკაფიო და ნათელი, რა აღმტაცი ეპითეტებია:

*

„გალობათა ციხე-კოშკი ავაშენე,

ვთქვი: მის მცველებს,

მეც ვიპოვნე,

რომ დამპყრობელ ჟამს ებრძოლოს, ვითა ყენს.

და... ზღვა,

ზვირთთა მეციხოვნით,

ჩემი წიგნის ქონგურებზე დავაყენე“.

ვაჟა ეგრისელმა შეძლო პრაქტიკულად განუხორციელებინა დიადი მისია, რომ ყოველი პირადი განცდა და ფიქრი აეუღერებინა როგორც საზოგადოებრივი და მისთვის მიენიჭებინა ეროვნული სულისკვეთება.

ვაჟა ეგრისელი ჩვენთა სიძველეთა, დღევანდელობის, ჩვენი ყოფის დაულალავი მკვლევარია.

მისი ყველა ლექსი სახეთა მოულოდნელობით, ოსტატურად მიგნებული კონტრასტებით იქცევეს ყურადღებას.

*



„ვახტანგის ხმა მესმა ქონგურზე –
 უჯარმის,
და სპარსის –
 წივილი ისრისა,
ნისლის ფთილა კი ვითარცა გუჯარი,
ამოეფარა უეცრად სათოფურს,
 თითქოს და ციხემ
 თვალი მოისრისა“.
(„უჯარმაში“)

ჩვენი პოეტის უპირველესი და უწმინდესი სა-
ლოცავია ძარღვიანი, დათაფლული ქართული სიტ-
ყვა. პოეტური წარმოსახვა, მხატვრული სახე კი გა-
მოგონებაა, შეთხზვაა, ფანტაზიაა და მისი პოეზია
უხვია და მდიდარი მხატვრული სახეებით, ფრთიანი
ფრაზებით.

მეოცნებე, საქართველოს ციხე-ტაძრებით აღ-
ფრთოვანებული და მაძიებელი კაცის ხელწერა
ცხადდება ლექსში: „ბოლნისით-მცხეთით“.

*

„უკვდავებისკენ ყველა ბილიკი –
 ქართველმა იცის –
 შორის მოვლის გზით,
იცის ქაღდვა...
 მიდია...“



ხეთი...

და

მათკენ გზები ჩვენი წარსულის,
რომ მიდის მცხეთით...

მიდის ბოლნისით.“

პოეტის სულში დავანებულა საქართველოს დიდი ჭირისუფალი. აქ იგი დიდი ილიას, აკაკის და ვაჟას სულიერი მემკვიდრეა და ნათესავი.

ვაჟა ეგრისელის გაბედული, მდიდარი წარმოსახვა უცნაური და ამავე დროს უტყუარი სახეებით და ხასიათებით გვაგრძნობინებს მამულის სიყვარულის სულ სხვადასხვაფერ და სხვადასხვაგვარ სიყვარულს. პოეტი მამულის სიყვარულის უცნაური გასაღების ჭეშმარიტი მფლობელია:

*

„მზის და ოჯალეშისფერი –

ჩემი ცის და ჩემი მიწის –

სიყვარული ისევ მასვით –

სამიათას ხუთასი წლის –

თრიალეთის ოქროს თასით.“

ტკივილიანი მშვენიერების გარეშე შეუძლებელია ვაჟა ეგრისელის ლექსების კითხვა, შეუძლებელია ლირიკული „მე“-ს განცდების გაცნობიერება.



ამიტომაც გულწრფელად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტის ნაირფეროვან და ნაირგვარ მხატვრულ სამყაროს ტკივილიანი მშვენიერება აღამაზებს და ამოტიანებს.

პროექტის ჯადოსნურ ფერთა შუქით აბრდღვიალებულ სამყაროში იდუმალი და საკვირველი ძაღლის წყალობით მუდამ ამაღლებული ფენომენის წიაღში ვეძებთ ნაცნობსა და მახლობელს, ან კიდევაც ვპოულობთ მას, მაგრამ მისი ჭკმშიარტი ღირსების ამოსაცნობად მარტო ცნობისმოყვარეობა არაა საკმარისი...

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ვერისელის პოეზიაზე)*

გავრძელება შემდეგ ტომში



სამი გმირი

ხუთი საუკუნის მერეც,
ახსოვთ ერწო-თიანეთელთ,
კახელებს და ქვენიფნეველთ,
სამი გმირი¹
მზიანეთის,
მომხდურთ, ფარჩად, ქვე-იფენენ.

1989

¹ სამი გმირი – იგულისხმება: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავები.

ჩემი კოლხეთი

სულ სიღარიბე ეგო ლოგინად,
ეხურა დარდის შავი საბანი.
და... კოლხი კაცის იშვა ოხერიდან –
ჩემი კოლხეთი,
კოლხი დედის
ცრემლით ნაბანი,
ზღვისკარად მდგარი ობოლივით,
ჩემი კოლხიდა.

1962



ზღვა უკან მისდევს თმაგაწეწილი,
რადგან ნაპირთან
ფართოდ თმაგაშლილ
ქარს მიაქვს ტალღა, როგორც ნადავლი,
თუმც სვეტებიან,
უზარმაზარ ღამის დარბაზში,
მთვარეს უჭირავს ვარსკვლავების
ოქროს შანდალი.

1962



ათასწლეულთა კლდეს გადმომსკდარი
სიტყვები გულში
დარდს და სევდას ვეღარ იტყვენ,
აი,
ამიტომ მთვარიანი ზეცის
კამარა,
და ვარსკვლავები –
ჩემს ლექსებში დავასამარე.

1971



ქარის ბწკალება ტალღებმა –
მდრინავმა ლომის ბოკერებმა,
უკან დაიწყეს ოტება,
ზღვა კი დაჭრილი ვეფხვივით
სალ კლდეებს აეტოტება.

1971



ნუ აყურადებ ღამის დინებას,
მარადისობის –
ცეცხლს დაგინთებენ,
ღღეები ცივი და ამბოკარი,
და შენი ხმების –
ელვის თითები,
ისევ და ისევ –
ვარსკვლავების ქნარს
ჩამოჰკრავენ.

1968



ვითარცა მთვარე,
ღამის უფსკრულში,
სიცოცხლის თვალში გდინარ ბეწვივით,
ოხვრა უკან და...
კვნესა წინ არი,
შენ პოეზიის უფალს შესწირე,
თუ რამე გქონდა შესაწირავი.

2004



არყოფნის ცაზე ვარსკვლავთ ეტლებით,
ასწლეულები გადაიგრგვინებს
და შენ შორეულ მზეს
დაგაფენენ,
მერე გვიან კი...
შენ რომ გედგა
ეკლის გვირგვინი,
ო, იმ გვირგვინზე დაიწყებენ
შრიალს დაფნები.

2001



მთელი დღე ენთო მზე –
ღვთის ცეცხლი,
ახლა მინავლდა,
ქარმაც შეწყვიტა სუნთქვა დროებით,
მე ცაზე ვცხოვრობ
და ცის ბინადარს,
ცივი სინათლით კვლავ მაბრმავებენ –
ვარსკვლავების უდაბნოები.

1988



აღმოსავლეთით და დასავლეთით –
ველურ ყიუინით მოდის და
მოდის –
მნათობთა ურდოს ცეცხლი ფარული,
ვით საქართველო,
მტერთაგან ოდით,
მთვარეც ასეა,
ვარსკვლავებით შემოჯარული.

1992



კენწეროები მაღლა მიიღტვიან...
თუმც, ვით ტყის მჭრელი,
ზეცა დასცქერის შემოდგომის,
რომელსაც აწუხებს საწუთროს სიჭრელე
და ეცოდება ხეები,
დაღლილი –
ფეხზე დგომით.

1987



შენ ერთი ხარ მეუფა

მათ საქმეებს “საგმიროს”,
 ჟამი განსჯის პირქუში,
შენს დიდ პოეზიაზე! –
ცოდვა – ბრალს რომ იღებენ,
 მთვარის თეთრი ჩოხით და
 მზის ოქროსფერ სამხრეთი,
შენ ერთი ხარ მეუფე –
ქვეყნის კიდით-კიდემდე,
 აღმოსავლით, დასავლით,
 ჩრდილოსა და სამხრეთის.


2001



ის დღე

ქალწულ მარიამს
ვით ყრმა იესო,
ისე,
მზე დილას ჰყავს შეფუთვნილი,
თუმც ღამეები აღარ იღევა,
და სადღაც,
ის დღე – შენი,
კუთვნილი,
კვლავ გელოდება სულის მიღევით.

2004



ბრალსციეზი

ნათლის ფრთების შრიალით –
მოვლენ ღამეები და
შენს მზეს –
წყვილადს მისცემენ,
ამის გაფიქრებაც კი მკათათვეში
გაციებს,
მიტომ ეჭვით შესცქერი –
გარინდებულ სივრცეებს,
ვარსკვლავთ თანმიმდევრობას
და დღეთა გრადაციებს.¹

2000

¹ გრადაციები (ლათ.) თანდათანობა.



რბევად მოვარდნილ
ზვირთთა ჩოჩქოლში,
აფრის ტკაცუნი მესმა
ლაზების,
რომელიც კიდევ ერთხელ მავალებს,
რომ მივატოვო ცის დარბაზები
და აღვაშენო “ქვეყანა”
ზღვაზე

მრავალი.

1956



სულ სხვა არის ცა –
კოლხეთის,
ელვის წკნელით
მოდობილი,
ღმერთ-კაც ამირანის ცეცხლი,
მეგრულ ფაცხის –
შუაკერასთან,
ბუდობს –
კოლხურ ხოხობივით.

1960



შემოღობა სამებრელოში

ოქროს კბილა ტაროები,
მაღაზას თუ მეგრულ ბედელს,
სიელვარით ხდიან
მდიდრულს,
აღვიძებენ ჩიტუნები –
პირდაფხენილ ჩაფლა ღელეებს –
ტოტებზე მსხდართ
და ბრძენივით თავჩაქინდრულთ.

1960



არბონავტები

(არგოს მარშრუტი)

ეგეოსის ზღვის კუნძული ევბეა და
იოლკოსი,
და სრუტე დარდანელის,
მიდის არგო და სვლას არ ანელებს,
ყალყზე დგება თუმც ზღვა –
მარმარილოსი,
წინ ახვედრებს მარგალიტით მოქსოვილ
ღელვას – სრუტე ბოსფორის,
ირგელივ დუღს ჯოჯოხეთი,
ორფეოსის ხმა ქარიშხალს ამშვიდებს,
არგონავტთა დუმს ფარ-შუბი და
მშვილდი,
შორით მოსჩანს პონტოს ზღვა
და კოლხეთი.

1988

სამყარო კოსმიური

ცის და მიწის საზღვართან
მდგარს,
მწამს, დაგაგვიანდა –
იქ – სადაც მზე იურვის,
სადაც ვიხმობს ნიადაგ,
სამყარო კოსმიური.

1997



ნოსტრადამუსი

მთები –

ხორცია დედამიწის,

მყინვარები კი –

ძვლებია თეთრი,

უამთა ნამუსრი,

მზე –

ხელუხლებელი –

არის ჩვენი

სინდის-ნამუსი,

მას ასე ხედავს და ასე ბჭობს

ნოსტრადამუსი.

1969



ხედავთ?

ჩემმა დღეებმა,

შურის ძუკნა ძაღლები

როგორ შემომისიეს,

რა ვუყვით, რომ ვერ მცნობენ,

მიწიერნი,

ცისიერს.

2004



სული კაეშნის

/გალაკტიონს/

გარდასულ ჟამთან ბრძოლით დადლილი,
შენ გეძახოდა სული –

კაეშნის,

მითი კოლხური და რომაული,
და...

შენ მიწაზე უხმოდ დაეშვი,
მაგრამ აფრინდი ცაში ხმაურით.

1959



მონაღიკე

დაუმიზნა როცა თოფი ნადირს,
ტყე გარინდლა,
უსწრაფესად ქორის,
ცას ახედა მძინარს,
სისხამ დილით

დააბრმავა შუქმა:

ნახა მნათთა შორის –
როგორ გაჰყვა ქრისტე ელვის
ბილიკს.

1968



სიყვარულის კვირიონებს

წველიადიდან ამოსული –
მზე კოლხური
და ქართული,
გზას შორეულს გიიოლებს,
ცად აყავხარ ფრთის
ფათქუნით,
სიყვარულის კვირიონებს.

1970



მთებია მიწის ბოლმა და დარდი,

ცა –

ზღვა არის და

იქ ვარსკვლავები –

მიმოყრილია ოქროს ქვიშად და

მოლუსკებად,

მთვარე ამიტომ შუბლს იკრავს და

არის ნაწყენი,

ვულკანი არა! –

ეს, მთებს შიშით გული უსკდებათ,

მიწის პირიდან –

სისხლის ლავას როცა

არწყევენ.

1959



პირველი სიყვარული

“მე. ერთს ვჭერებ ორსავ სოფელში”.
ჯალალ-ედ-დინ რუმი.

ცხადია თუ ფარული –
ჩემთვის ორივე ერთია
შუაზე არ იყოფა,
პირველი სიყვარული,
ამ სოფლად და იმ სოფლად.

1961



ბათუმეზა

არა ჩანს,

მაგრამ ღრუბლებში
კრთის ნათლის ჩრდილი ცახცახა,
ზღვას ქარი აღარ მოურჩა,
მთაზე ნისლი არ იღევა...
დაუბჩენია ცას ხახა,
და მკვდარს აქა-იქ მოუჩანს –
ვარსკვლავთა ოქროს კბილები.

1964



განათლა ბნელი

დიდი ხნის მერე,
“იქმნა ნათელი!”

განათლა ბნელი
და სიხარულის –
ცრემლი სდის თვალებს და
მომქუხარებს,
და სიკვდილივით მუდამ ფარული,
ბედნიერებით – შენ ხარ მწუხარე.

2001



სხვა არაფერი

ზღვაა –
ეს ცხოვრება
და ჩვენი დღეები –
დღელვაში გადიან –
გაშლილი აფრებით,
სიცოცხლე –
სიკვდილის თანამდგეი ლანდია,
სხვა არაფერი.

1986



მიხმე და...

მიყვარხარ!
და როცა წასვლას დააპირებ,
გაიფურჩქნებიან –
არყოფნის იარები,
ცრემლებს ჩამოყრიან ფოთლებად
შინდები,
როგორც სიცოცხლეში,
ნულარ შეშინდები,
მიხმე და...
სიკვდილშიც შეგეზიარები.

2000



მას სხვა გზებით უვლია

შიგ რომ აღარ მიშვებენ,
შენი ორეულია,
კართან მარადისობას ბღავის,
როგორც მოზვერი,
მას სხვა გზებით უვლია
და ის არის პირველი,
ვინც მზემ სისხლით მთიების –
ცის ნისორში მოზედა,
და უფალმა შთაბერა –
სული ნათელმხილველის.

1963



ტროას ცხენი

ათასწლეულების იქით –
ომის ცეცხლი

ბრუნავს ცხელი,

მაგრამ ნათლად აქ კი მესმის:
ფლოქვების ხმა –

ტროას ცხენის,

ფარის რეკვა აქილევსის.

1959



მუხმობ პოეზიის ართოსს

სტრიქონებით ვფარიკაობ,
მუხმობ პოეზიის –
 ართოსს,
 პართოსსა და არამისის,
და ცოტათი ვინც
 გამართობს,
ჩემი “ხმალი” ალაღ მისი.

2002



თეთრი ვეზაპი

ზედაპირზე კი არა,
 წყვდიად ფსკერზე ეძებენ,
უსამანო წუხილით,
მოკლულ მამრებს,
 მდედრები,
ცაში ადის ქუხილად,
ცხრაფად თმა დაგლეჯილი –
ზღვის მოთქმა და ვედრება.
1961



იგი ჩვენშია

მისი მაღლია მზით რომ ივსება
წვრილ-წვრილ ვარსკვლავთა
ოქროს თასები,
და მას არასდროს, არაფერში
აღარ
შეშლია,
შენ მეუბნები:
ის არის,
არსებობს,
მე კი გპასუხობ:
იგი ჩვენშია.
1962



ია რანინა

შორეთიდან ისევ მესმის
ხმა,
რომელმაც კოლხეთს სული,
ღღემდის მოატანინა:

“ია ნანა
მარღუ ნანა,
ია ნანინა”.

1964



მკვდრის მზე

თავს იკლავენ ჩანჩქერები,
ცადაწვდილი –

დუმან მთები,

სამდურავი მოგდევს სოფლის –

პოეტს,

მკვდრის მზით გულანთებულს,

თვით სიკვდილით უკვდავყოფილს.

1988



შიდაც გამოჰკიოლა

არ ვიცი, ზღვა რად ბრაზობდა,
როს ქარი ტალღებს მარგვლიდა...
ვიდაცა გამოჰკიოლა:
მთვარის ლურჯ სადარბაზოდან
და ვარსკვლავების ჯარგვლიდან.
1963



სიკვდილი –
სიცოცხლის აჩრდილია,
ვარსკვლავებით ანთებულ ცის თვალებში
ღღე –
ღამის ღამაში ტანდემია.
მთვარე –
მზის საუფლოში გაჩრილია,
ავდარი –
ტაროსის თანამდევია.
...
სიკვდილი – სიცოცხლის აჩრდილია.

1993



ძეო, ადამის

ამქვეყნად მოსვლით,

შენი ნადავლი:

– უი!

და

ვაი!

აბა, თუ უწყი, ძეო, ადამის:

საიდან!!!

საით!!!

1964



შენ,
ნაშიერს ქაოსის,
არაფერი გაოცებს,
თუმც ხარ მზით მონუსხული,
მნათთა სასაფლაოზე –
გელის ღამის უფსკრული.

2003



ლოტოფაბრიკი

ანუ

მზის დაბნელება

საქართველოში

დაბნელდა და...

ველარ ვხედავთ,

საქართველოს მზეს სავსებით.

სხვაგან ეიფელებს ვაგებთ.

და დღითი-დღე ვემსგავსებით

მანქურთებს¹ და

ლოტოფაბრიკებს.²

1995

¹ მანქურთი – მასხოვრობა დაკარგული ადამიანი (აიტ-მატოვი).

² ლოტოფაბრიკი – (“ოდისეა”) ვინც ლოტოსის ყვავილს იგემებდა, მაშინვე ივიწყდება მშობლიურ მიწა-წყალს და ლოტოფაბრიკის მკვიდრი ხდებოდა (ჰომეროსი).



ჩემი ხორბა

ხობისწყლის პირ ჩამომჯდარი,
მელოდება ჩემი ხორბა.
და საარი დილის მზაფრავს.

ღღე –

ყოველი ჩემთვის მოჰგავს –
გასათხრელ თუ
გათხრილ საფლავს.

2001



მიდის და ტანს ნაზად მიარწევს
და ნაპირს ნაწერს –
ქაფის ლურსმულით,
რომ შლის ზღვის ნიაე-ქარია.
შორით რომ გამოკრთა,
ცის მწვანე უფსკრულთან,
თოლიას ფრთა არის,
თუ იაღქანია?!

1991



შენი აზრი ელვაა და,
მნათთა ოკეანეს ერთვის.
და ქარიშხლის სუნთქვაც ელის.
შენი სიტყვა არის ღმერთი,
გალობაა –
სულის მზრდელი.

1999



ოპპერტი

ინტერნეტში მე ვიხილე,
ის ოპპერტი,¹ წარსული რომ
ერთიანად ამიოხრა,
მერე გადუშალა მიღუთს –
ჩემი კოლხეთი და კოლხა,
“ნანა”,
“ძაბრაღე”
და “ლიღე”.

2002

¹ ოპპერტი იულიუს – იუდეველი არქეოლოგი, რომელმაც XIX ს. მეორე ნახევარში, ძველ სამხრეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა.



ბერმუსა

მეხისგან შუბლგაჩეხილი,
საუკუნეებს შეცქეროდა
მოთმენით,
ულმერთო ჟამის არ შინებია.
ტოტიდან მოჭიატე ფოთლები –
ბერმუსის შვილთა –
შვილებია.

1987



**ნაკოლეონ ბონაპარტუს
ეპიგრამა**

ვით კოლხეთში, საფრანგეთში,
ცრის და მარტი ისევ მარტობს
და სენის პირს ჩაუბღუჯავთ
ღურჯი იის კონა მარტებს,
სურთ, მიართვან იმპერატორს,
დიდ კორსიკელს კი არადა,
დიდ კოლხს –
ნაპო ბონაპარტეს.

1983



ასმა

მოკვდა...

ჭირისუფალი,

მწარე ცრემლით სავსეა,

სევდაც აწევს მთებური

და სოფლის აბრუნდები.

მაგრამ რას იქმს...

ასეა,

გარდა მიცვალებულის,

ყველა უკან ბრუნდება.

1989



პონტოს სანაპიროზე,
როგორც ვარჯი ღამაზ ხის
ანდა ყანა თავთუხის,
შრიალებდა,
ხარობდა:
მოსხი, ბასხი და ღასხი,
ტაოხი და ქართუხი.⁶

1961



ღელვის რაშებზე შემსხდარ
და ფაფარაშლილ ზვირთებს,
სურთ გადალახონ ზღვრები,
მიწის აკვანში უწევთ
და ქარი აკვანს რომ ურწევთ,
ოკვანის პირმშობია ზღვები.

1986



ხელავ თათუ-ნეფერტიტს

მიღმა ათასწლეულთა,
ვით მითი ან ლეგენდა,
მოსული სხვა ეფექტით
და კოლხური იმედით.
ხელავ: თათუ ნეფერტიტს –
გზა მიჰყვება ქიმეთის.¹

1998

¹ ქიმეთი – შემდგომში ეგვიპტის სახელწოდება.



ვით ფარავნელი ჭაბუკი

ცა,

შავ ჩოხას რომ იხევდა,

ახლა ხმა რატომ გაკმიდა?

ელვა, ვით მზეთუნახავი,

ხანდისხან გამოიხედავს,

ღამის დანისლულ სარკმლიდან.

1998



კოლხა და კოლხეთი

მესმის წინაპრის ძახილი:

ამქვეყნად რისთვის მოხვედი,
თუ არაფერი გაწუხებს!!!

მე გულში ტყვიამოხვედრილს,
არ მძინებია არც წუხელ,

რადგან კოლხა და კოლხეთი
მტკივა...

რომ მიჭერს მარწუხებს.

1970



ქაღდებსა და კარდუღელი

ბევრი ათასწლეული

ვიცი,

დაგაგვიანდა,

მაგრამ პრესტორიის –

გადარაზულ კარს ვუღებ

და მოვუხმობ ნიადაგ:

ქაღდებსა და კარდუღელი.

1967



მტერთა ჩვენთა სივერაგეს,
ქვეყნად ვერვინ ჩამოთვლის,
არის რბევა,
თარეში.
საქართველო აფხაზეთის გარეშე,
მოჰგავს ბედკრულ
არსაკიდეს,
მარჯვენა მკლავჩამოთლილს.

1993



ციცაბო კლდეებს ბილიკი,
მიუყვება, ვით მთამსვლელი.
ჩანს ღრუბლის შავი სამარე.
და ცა,
მთვარეს შიგ ასვენებს –
ღამის პერანგის ამარა.

1974



წამალი

ამურისგან დანაყული –
სიყვარული წამალია
გგკურნავს მისი ნაყოფი.
და დრო შუამავალია –
ყოფნისა და არყოფნის.

1980



ვარსკვლავები –
ნეკერჩხლის ხეებია,
მამაღმერთისგან ცაში დარგული.
და სინათლის აშრიალები,¹
ციდან-ცამდე,
იდუმალებას,
შიშს და სიშორეს აშრიალებენ.

1980

¹ აშრიალი – მახე.



წლებმა მეტეორივით უცებ
გადაიქროლეს,
უკვე ღვება წუთები,
დღე-ღამე რომ შეერთდეს,
მივალ გაღალღებული, საყელო აწეული.
საუკუნეს მე ჩემად ვტოვებ,
ოცდამეერთეს,
თვალშეუდგამ მესამე –
დიდი ათასწლეულის.

2001



თიგლათფილასარ

ბრძოლით ხედებოდი მწუხრსაც,
დილასაც,
თიგლათფილასარ!
მზე და მთვარე კი –
ზეცის სასწორი,
ათასწლეულთა რისხვას არწევდა.
მაინც წარსული თავს კვლავ
გვაწონებს –
მაღალ კლდეებზე ლურსმულ წარწერით.

1986



პაპა

ოთხმოც გადაცილებული –
ლაფაროსთან მჯდარი პაპა
ლეგენდების ქსოვდა ბადეს:
– მაკითხავდა ტყაში მაფა,
ადრე,
მე აქ – ოდაბადეს.¹

1962

¹ ოდაბადე – დაბადების ადგილი (მეგრ.).



მარადისობის გარდუვალობა,
თითქოს ბობოქარ –
შენს სულს ირთავდეს.
ცა – უსამანო,
ვით ოცნება უცებ ამხდარი.
ვარსკვლავთა მრევლით
სავსე პირთამდე,
შორს მთვარე მოჩანს,
როგორც საყდარი.

1990



ზღაპრული ქვეყანა ყოფილა კოლხეთი

ეს სხეებმა იკითხონ
და სხეებმა იდარდონ,
აღარ გვეშინია ჩვენ
უკან მოხედვის,
ცხოვრება ღრმაა და აკეთებს მონიას,
ზღაპრული ქვეყანა ყოფილა კოლხეთი,
და კოლხებს თავისი კვირბები¹ ჰქონიათ.

1966

¹ კვირბები – დამწერლობა, წიგნები.



თუმცა ბევრჯერ შარი-შურით,
მტრობისა და სიძულვილის,
ქარი ქროდა –
შავი შურის,
მაგრამ ძირს ვერ დაანარცხა:
ჩემი სიტყვის წაბლის ოდა,
აზრის ჯარგვალი და ფაცხა.

1969



შენ ხარ ხელმწიფე...
და წყვილადში ნათელს ამეფებ.
მიჰყვები დღეებს მზის კარებიანს.
თუმც ზოგ-ზოგები სიძულვილის
ლაფში ჩაეფლნენ,
შენ საუკუნის ჭუჭყი –
აღარ მიგკარებია.

1994



სიმყუდროვეში კვილზე ელვის,
დრუბლებმა წვიმა
წვალებით შობეს.
ქარი რომ თმებს იწეწს, შეშლილია.
მთვარე მიჰყვება ვარსკვლავების
მორღვეულ ღობეს,
დამის უფსკრულში გადაჩეხვის
ეშინია.

1969



თუმც მინავლნენ საუკუნენი,
მწუხრს კი წუხილი
მოაქვს ბატასი.

და ცა ივსება ვარსკვლავების
ოქროს დუმილით.

ზღვისკარად მთვარე ღრუბლის ატლასით –
თავს კვლავ შეიკრავს
ბედუინივით.

1963



30

ოცდაათი მიიღია,
ლერწმისა თუ იის ღვრით,
მონახნახეს ხედები დილებს.
უკვდავებას –
მიიმღერი,
მერანს მიაავთანდილებ.

1971



მოვა მწუხრი და მნათთა ნაყოფით
დახუნძლულ ცის ტოტს
დასაველით დახრის.
დამფრთხალი ელვა კისრისტეხით
ღრუბლებში გარბის.
ვარსკვლავთა ცეცხლზე დგას მთვარის
ქვაბი,
ღამე არაყს ხდის, მოწანწკარებს
სინათლის რახი.


1986



ებრისელი

შოორ, წარსულში გაჩენილი,
პონტოს პირას გამოზრდილი,
მტერთა ჩვენთა შემრისხველი.
და ლამაზი, როგორც ხვითო –
ფსევდონიმად “ეგრისელი” –
შეგირჩია ღმერთმა თვითონ.

1961



მე დავძებუ საქართველოს

ჟამთა ზღვაში დამეკარგა...
დამსხვრეული, როგორც შუშა,
მსურს ერთიან გავამრთელო
და იარა მოვუშუშო,
მე დავძებუ საქართველოს.

1992



მიღმიერიდან მოულოდნელად,
როდესაც მეხმა ბნელს და
მოძალეს,
ცეცხლისფრთიანი სტეორცნა ბოძალი,
ელვა ღრუბლიდან გამოვარდა
და დაიკლაკნა,
მერე მთებს მიღმა მიიმალა
სულთამობრძავი.

1986



ლოცვად აღანთებს მთებს ისევ –
დიდი ბექას¹ და ბეშქენის და
ფარსმან² ქველის ქველობა.
ისე არავის შეშვენის,
ვითარცა ვაჟა ეგრისელს,
რომ შვენის ეგრისელობა.

1999


¹ ბექა და ბეშქენ ოპიზრები, ოქრომჭედლები (XIII ს.).

² ფარსმან II – ქველი, ქართლის მეფე (II ს.).



ღამის სარკეში მოკამკამენი,
მზიურ სივრცეთა თანაზიარი,
მთიები,
თითქოს ღურჯი ტბებია.
ცაში რომ გაკრთა,
ელვა კი არა,
წმინდა გიორგის რაშის ნალის
ნაპერწკლებია.

1972



უბრალოდ და უმიზეზოდ,
აღელვება ზღვას დაბრალდა,
მოიფხანა ქარმა კეფა,
უცებ გამსკდარ ცის ნაპრაღთან,
ღამემ –
მთვარე დაიყუფა.

1960



ჩვენსკენ კისერმოღრეცილი:

პარხალი და არდაგანი,

ჩილდირი და მაკრიალი.

ჟანგი რომ არ მოეკიდოს

ხსოვნას,

ისევ აკრიალებს.

1987
